როცა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჯუნუბისგან დიდ განბანვას აკეთებდა, ჯერ იბანდა ხელებს, შემდეგ იღებდა მცირე განბანვას (აბდესს), როგორც ლოცვისთვის, შემდეგ დაიბანდა მთლიან სხეულს

გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «როცა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჯუნუბისგან დიდ განბანვას აკეთებდა, ჯერ იბანდა ხელებს, შემდეგ იღებდა მცირე განბანვას (აბდესს), როგორც ლოცვისთვის, შემდეგ დაიბანდა მთლიან სხეულს, შემდეგ თმებს შორის თითებს ატარებდა მანამ, სანამ თმების ძირები კარგად არ დასველდებოდა და გადაისხამდა წყალს სამჯერ, შემდეგ იბანდა სხეულს მთლიანად. აიშამ თქვა: მე და შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთი ქვაბიდან ვიბანდით და ორივე მისგან ვისხამდით წყალს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა დაბანვას გადაწყვეტდა, პირველი ხელების დაბანით იწყებდა. შემდეგ იღებდა აბდესს ისე, როგორც ლოცვისთვის იღებდა, შემდეგ გადაისხამდა წყალს სხეულზე, შემდეგ ატარებდა თითებს თმებს შორის, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ თმის ძირები და თავის კანი კარგად დაასველა წყალმა, შემდეგ გადაისხამდა წყალს თავზე სამჯერ და შემდეგ იბანდა სხეულის დარჩენილ ნაწილს. აიშამ თქვა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): მე და შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთ ჭურჭლიდან ვიბანდით და წყალსაც ერთ ჭურჭლიდან ვისხამდით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3316